ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№30

ქ. თბილისი; 25 სექტემბერი, 2018 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
დავით ჭელიძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ბაგრატიონი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კიკვიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მერაბ მამულაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა
დაცვის კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. "გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N9-38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1]მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. "მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების

(ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. "ქალაქ თბილისის მუხიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარსნით აკტიბულების (M3 კატეგორია) მიმართვის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17 48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - „ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების ცვლილებამ - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით" განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „გ.გ" ქვეპუნქტის ცვლილება და აღნიშნულ ქვეპუნქტში საცვლად - „თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური" სა მიეთითება „თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექცია".

ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ სახელწოდების - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით“ ცვლილებამ.

გიორგი ბაგრატიონმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 82[5] მუხლი, რაც არეგულირებს პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, წარმოებისას ან/და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის - ,,პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209[3]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 82[5] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

გიორგი ბაგრატიონის მითითებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის დამატებითი ფუნქციის მინიჭება, პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და ამ მხრივ, კანონით გათვალისწინებული აკრძალვის შესრულებაზე კონტროლის სახით.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 ივნისის N20-67 დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის

დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ სახელწოდების – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით“ ცვლილებამ. ასევე, გიორგი ბაგრატიონმა დაამატა, რომ განსახორციელებელი ცვლილებების თანმდევად, ერთიანდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 და 2018 წლის 16 თებერვლის N13-38 დადგენილებებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩახარების, წარმოების და აღრიცხვა ასგარიშგების წესები და შესაბამისად, აღნიშნული დადგენილებები ძალადაკარგულად ცხადდება.

გიორგი ბაგრატიონის განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამის ცვლილებათა განხორციელების შემდგომ, ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, 82[5] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში) შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირებს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე, საჯარიმო სანქციის გატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82[5] მუხლის დელეგირებას, პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის გამო.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის ,,ა“ პუნქტში სწორი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს N20-95 დადგენილების მიღების თარიღი და ნაცვლად 2018 წლის 30 დეკემბრისა, უნდა მიეთითოს 2014 წლის 30 დეკემბერი,
- ასევე გასწორდეს ხარვეზი მე-3 მუხლის ,,ბ“ პუნქტში და N13-38 დადგენილების მიღების თარიღად, ნაცვლად 2018 წლის 16 დეკემბრისა, უნდა მიეთითოს 2018 წლის 16 თებერვალი.

- ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში საქართველოს კანონი ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" უნდა მიეთითოს შემდეგი სახით:

  „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს;

- ასევე, დადგენილების პრეამბულაში, პირველ მუხლსა და მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტში საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" მიეთითოს შემდეგი სახით:

  „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს;

- აგრეთვე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები და წარმოდგენილი დადგენილების შესაბამისი დანართები (დანართი N3; დანართი N4) გათვალისწინებული დოკუმენტების სათაურები შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ ერთმანეთთან.

- იმის გათვალისწინებით, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება მუნიციპალური ინსპექციის სახელწოდებით, დადგენილების პროექტის N4 და N5 დანართებით წარმოდგენილ დოკუმენტებზე ხელმოსაწერ პირად ნაცვლად - სამსახურის უფროსისა, უნდა მიეთითოს - ინსპექციის_უფროსი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით" ცვლილებამ განაპირობა დადგენილების მოქმედ რედაქციაში არსებული ჩანაწერის - „ზედამხედველობის საქალაქო სამსახური"-ს „მუნიციპალური ინსპექციით" შეცვლის აუცილებლობა.

გიორგი ბაგრატიონის მითითებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული

ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-34 დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ძიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N9-38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N9-38 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

გიორგი ბაგრატიონმა დაამატა, რომ პროექტით წარმოდგენილი ცვლილება განპირობებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიცილური ინსპექციით" ცვლილებით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საძართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1]მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის მიღება განაპირობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით" ცვლილებამ, ასევე დაამატა, რომ პროექტი ითვალისწინებს, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის ოდენობისა და გადახდის წესის გადამტკიცებას.

გიორგი ბაგრატიონმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით, ძალადაკარგულად ცხადდება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1]მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის დაოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-97** დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო

სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გიორგი ბაგრატიონის მითითებით, პროექტის მიღება განაპირობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით" ცვლილებამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმები და ძალადაკარგულად ცხადდება 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება.

გიორგი ბაგრატიონის განმარტებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებული შემოწმების აქტის (დანართი N7) ფორმაში დაშვებულია ხარვეზი, კერძოდ, არ არის მითითებული საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ე" ქვეპუნქტი - „საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას". მომხსენებელმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება და შემოწმების აქტის დასამტკიცებელ ფორმაში აღნიშნული პუნქტი იქნება გათვალისწინებული.

ასევე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დელეგირებული აქვს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების დაზიანების ან/და თვითნებური განადგურება და ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

გიორგი ბაგრატიონმა დაამატა, რომ მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ასევე დელეგირებული აქვს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევისა და ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას მუნიციპალიტეტის გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

მომხსენებელმა დასკვნის სახით დასძინა, რომ პროექტით ხდება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე და 152-ე მუხლებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების ამოღება, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მოქმედებს ამავე კოდექსის 151[1]-ე და 152[3]-ე მუხლები, რომლებიც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის უკვე დელეგირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილების საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათ დაცვის კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე გააჟღერა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკურ/შინაარსობრივი ხასიათის შენიშვნა, კერძოდ:

დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული დასართი 2 ის („ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“) მე-6 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს სრული რედაქციით:

„მუხლი 6

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების დარღვევებზე (შედგენილ ოქმებზე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 15 დღის ვადაში განიხილავს სასამართლო.“

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ალეკო ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, “მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის

განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდების" ცვლილებამ განაპირობა დადგენილების მოქმედ რედაქციაში არსებული ჩანაწერის -„ზედამხედველობის საქალაქო სამსახური"-ს „მუნიციპალური ინსპექციით" ჩანაცვლების აუცილებლობა.

გიორგი ბაგრატიონმა ასევე დაამატა, რომ დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის №20-94 დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა **გიორგი ბაგრატიონმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" სახელწოდების შეცვლამ გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში შემდეგ ცვლილებათა შეტანის აუცილებლობა:

- დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტში წაცვლად, ჩანაწერისა - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა დანართი 3-ის შესაბამისად", მიეთითება:
  „გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხა დანართი 3-ის შესაბამისად."
- ამასთან, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული, **საშტატო ნუსხა**

ყალიბდება დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილი დანართის 3-ის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხა“, შესაბამისად.

- ასევე, დადგენილების პროექტთან ერთად დანართის სახით წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხაში:
  1. პირველადი სტრუქტული ერთეულის ხელმძღვანელის - თანამდებობის მიოიოეგისას, ნაცვლად საქალაქო სამსახურის უფროსისა, აღნიშნულია „მუნიციპალური ინსპექციის უფროსი“;
  2. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის პოზიციის მიოიოეგისას, ნაცვლად საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილისა, აღსიშნულია - „მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე“.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტზე მუშაობისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხის პროექტში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონული განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, ნაცვლად - 1200 (ათას ორასი) ლარისა, მითითებულ იქნა - 1300 (ათას სამასი) ლარი და ითხოვა ამ ნაწილში საშტატო ნუსხის დაკორექტირება და 1300 (ათას სამასი) ლარის ნაცვლად, 1200 (ათას ორასი) ლარის მითითება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მ/წლის 21 სექტემბერს N12-031826440-03 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა მოცემული დადგენილების პროექტის დანართი 3-ის დაზუსტებული და შესწორებული რედაქცია, რითაც ხელმძღვანელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია პროექტის შესახებ დასკვნის მომზადების პროცესში.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში, ნაცვლად „დადგენილებისა“, მითითებულია „განკარგულება“, შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიცვალოს აღნიშნული პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

  „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.“

- ასევე, სასურველია, გასწორდეს დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილი დანართი 3-ის სათაურში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიეთითოს შემდეგი ფორმით:

  „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო წუსხა“.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 9 (ცხრა) დადგენილების პროექტი შეადგენს ერთიანლოვად ასამოქმედებელ სამართლებრივ ცვლილებათა პაკეტს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ძალაში შევა მ/წლის 1 ოქტომბრიდან

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნა/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და დადგენილების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

მერაბ მამულაშვილმა განმარტა, რომ 2015 წელს დედაქალაქში არსებული კოკისპირული წვიმების გამო, ჩამოიშალა წყნეთი-ბეთანიის გზის ძონაკვეთი, რის შედეგადაც, ბეთანიასა და კიკეთში მცხოვრები, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე დამსვენებლებისთვის, შეიზღუდა წყნეთთან ტრანსპორტით ხელმისაწვდომობა.

მომხსენებელმა განავრცო საკითხი და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადებებისა და დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული ზარებით, მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშრუტის კიკეთი-წყნეთის (ყოფილი №5 მარშრუტი) აღდგენას. ასევე დაამატა, რომ დღეის მდგომარეობით, უკვე აღდგენილია წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთი.

მერაბ მამულაშვილმა მიუთითა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში შემდეგი ცვლილების განხორციელებას:

„მარშრუტი: კიკეთი - წყნეთი"- მოძრაობის მიმართულება: დაბა კიკეთი (9 ძმა ხერხეულიძის ქ. №17-19-ის პირდაპირ) - დაბა კიკეთი (9 ძმა ხერხეულიძის ქ. - ექვთიმე თაყაიშვილის ქ.) - წყნეთი - სამადლოს გზა (სოფ. დიდველაში ჩასვლა-ამოსვლით) - დაბა წყნეთი (რუსთაველის ქ. - რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ). უკუ მიმართულებით: იგივე სქემით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ვინაიდან, №5 მარშრუტს ამჟამად სხვა საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს და სატრანსპორტო მომსახურებას უწევს წყნეთში თამარ მეფისა და მაია წყნეთელის სახლობის ქუჩებს მ/ს „დელისამდე", ახალ მარშრუტს მიენიჭა ნომერი 81 და იმოძრავებს 1 ერთეული ავტობუსი.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი